ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1423982

ნომერი: AR1242051

თარიღი : 04.08.2014

გაცემის თარიღი : 06.08.2014

გაცნობის თარიღი : 26.09.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 12ა , კორპუსი N5 , და არალეთის ქუჩის და ყოფილი საბავშვო ბაღის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ნიჩიპურენკო პ/ნ 14001004334
- თბილისი. გურამიშვილის გამზ.12 ა, კორპ 5, ბინა 125 ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტორულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: საპროექტო ფოტომონტაჟის მიხედვით ირკვევა, რომ ხდება არსებულ შენობაზე დაშენება, აღნიშნული სამუშაოები კი წარმოადგენს ისეთი სახის რეკონსტრუქციას, რომლის განხორციელებასაც ესაჭიროება მშენებლობის ნებართვის გაცემა. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. თქვენს შემთხვევაში გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები.

ასევე გაითვალისწინეთ, რომ იმ შემთხვევაში თუ არსებული შენობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, საჭიროა საკითხი დააყენოთ შეთანხმებული პროექტის კორექტირების კუთხით;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობა დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.